



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 430

16 აგვისტო
“ --- ” ----- 2024 ♡

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სერგი წულაძის ქუჩა, №32გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.11.034.007) საცხოვრებელი კომპლექსისა და საკულტო ობიექტის (ტაძრის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე და 62-ე მუხლების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31 ივლისის №24.1316.1497 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, სერგი წულაძის ქუჩა, № 32გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.11.034.007) საცხოვრებელი კომპლექსისა და საკულტო ობიექტის (ტაძრის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე ms.gov.ge რეგისტრირებული №01240873291-67 (№01241733191-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მთავრობა



განკარგულება - N 24.1316.1497
31 / ივლისი / 2024 წ.

ქალაქ თბილისში, სერგი წულაძის ქუჩა N32გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.034.007) საცხოვრებელი კომპლექსისა და საკულტო ობიექტის (ტაძრის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 27 მარტს N01240873291-67 (N01241733191-67) განცხადებით მიმართა ედიშერ ქარჩავამ (პ/ნ 39001007760) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, სერგი წულაძის ქუჩა N32გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.034.007) საცხოვრებელი კომპლექსისა და საკულტო ობიექტის (ტაძრის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, სერგი წულაძის ქუჩა N32გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.034.007); საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია 5338 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), ასევე, შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება.

საპროექტო ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის N269 განკარგულებით.

საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია ფუნქციური ზონის ცვლილება და



ვითარდება საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) სტატუსით, არ ხდება მიწის დაყოფა და ნარჩუნდება ერთი საკადასტრო ერთეული, მასზედ დაგეგმილია ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი ბლოკის მშენებლობა, რომელთა სართულიანობა შეადგენს 7 სართულს, აგრეთვე, გათვალისწინებულია ეკლესიის ნაგებობა.

მიწის ნაკვეთის ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)

კ1-0,5 (1 860)

კ2-2,4 (12 554.4)

კ3-0,3 (1 455)

მიწის ნაკვეთების რაოდენობა- 1 ერთეული

სართულიანობა 7 სართული და ეკლესია მაქსიმალური სიმაღლე -22,40

არსებული ფუნქციური ზონირება - სამრეწველო ზონა 1 (ს-1) სატრანსპორტო ზონა 1 და შიდა კვარტლური გამწვანება.

საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5).

ვინაიდან, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებასთან დაკავშირებით წარმოება დაწყებული იყო 2019 წლის 23 აპრილს, გათვალისწინებულია შემდეგი ვალდებულება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) მომატებასთან დაკავშირებით: „განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების 2019 წლის 5 აპრილის N19.388.520 შესაბამისად, საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვრა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართობის 10%-ის ოდენობით, რაც შეადგენს -113.11 კვ.მ-ს.

ასევე, პროექტით გათვალისწინებულია ქ.თბილისში, მთავარანგელოზის ქ. N23-ში, ავლაბარში მდებარე მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში საცხოვრებელ პირთა ტაძრიდან გამოყვანა და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. ამასთანავე, აღნიშნულ ტაძარში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ და შეჭირვებულ პირთა საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფა. ტაძრიდან გამოყვანილი და საცხოვრებელი პირობებით დაკმაყოფილებული პირების შემდგომ დარჩენილი ფართების საპატრიარქოს მიერ სხვადასხვა სოციალური მიზნებისთვის გამოყენება.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და

განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული, ხოლო ამ დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში - ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო; ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, ადმინისტრაციულ წარმოებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 28 ივნისის N01241803274 წერილის შესაბამისად, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის 2024 წლის 19 ივლისის N01242012641 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის და საკულტო ნაგებობის (ტაძრის) განაშენიანების რეგულირების გეგმა.

შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სერგი წულაძის ქუჩა N32გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.034.007) საცხოვრებელი კომპლექსისა და

საკულტო ობიექტის (ტაძრის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ასევე, N01240873291-67 (N01241733191-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, სერგი წულაძის ქუჩა N32გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.034.007) საცხოვრებელი კომპლექსისა და საკულტო ობიექტის (ტაძრის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. „თეთრ კარკასულ“ მდგომარეობაში.

4. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართის 10%-ის ოდენობით.

5. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ამ განკარგულების მეორე და მესამე პუნქტებით გათვალისწინებულ ქონების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმება უზრუნველყოს მშენებლობის ნებართვის მაძიებელთან მშენებლობის ნებართვის მიღებამდე.

6. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში მშენებლობის ნებართვის მაძიებელს მოსთხოვოს

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსთან ამ განკარგულების მე-5 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების წარმოდგენა.

7.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

8.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01242012641
თარიღი: 19/07/2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპენტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 21 ივნისის №01241733191-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა №23-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.17.11.034.007) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის და საკულტო ნაგებობის (ტაძრის) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **16 ძირი** (№4; 50; 53; 56; 57; 73; 80; 96; 101; 107; 113; 116; 117; 123; 124; 127) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილკენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე მოსაჭრელი მწვანე ნარგავის რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნების გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი/ხმობადი/ავარიული/ფაუტი/გადაბერებული ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას **71 ძირი** (№16; 17; 20; 21; 22; 23; 24; 26; 27; 28; 29; 30; 31; 32; 33; 40; 41; 42; 43; 44; 45; 46; 47; 48; 49; 51; 52; 55; 58; 59; 60; 61; 62; 63; 64; 65; 66; 67; 68; 69; 70; 71; 72; 74; 76; 77; 78; 79; 81; 82; 83; 84; 85; 86; 87; 88; 89; 90; 91; 92; 93; 94; 95; 111; 112; 118; 119; 120; 121; 122; 128) ავარიული მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **25 ძირი** მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვისა და გაზარების შესაძლებლობა (№1; 2; 3; 13; 14; 15; 34; 35; 36; 37; 38; 39; 97; 98; 99; 100; 102; 103; 139; 140; 141; 142; 146; 147; 148) დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული **25 ძირი** მწვანე ნარგავი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **ერთი ძირი** (№110) გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავი, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოდგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა

და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მათზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (არსებული/გადასარგავი: 49 ძირი მწვანე ნარგავი და საპროექტოდ დასარგავი: 5 ძირი კედარი ჰიმალაის; 10 ძირი მარადმწვანე მუხა; 25 ძირი კვიდო იაპონური; 10 ძირი რობინია (ცრუაკაცია); 5 ძირი წვრილფოთოლა ცაცხვი; 5 ძირი ნეკერჩხალი წითელი (ფრემანის); 10 ძირი იფანი ჩვეულებრივი; ჯამში - 119 ერთეული) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (1455 მ²).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ამასთან, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა თითოეული საინჟინრო კომუნიკაცია დატანილი იქნას დენდროლოგიურ გეგმაზე და გეგმარების პროცესში გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

აქვე, გაცნობებთ, რომ დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო ბანერზე მითითებული დასარგავი მწვანე ნარგავების საერთო ჯამი არ შეესაბამება მცენარეთა ექსპლიკაციის ცხრილში მითითებული საერთო რაოდენობას. შესაბამისად, განმცხადებელმა თანხვედრაში უნდა მოიყვანოს აღნიშნული მონაცემები და დეტალური პროექტირების ეტაპზე, წარმოადგინოს შესწორებული დოკუმენტაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის და საკულტო ნაგებობის (ტაძრის) განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01241803274
თარიღი: 28/06/2024

2024 წლის 21 ივნისის N 01241733191-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, სერგი წულაძის ქუჩა N32 გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.11.034.007) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსისა და საკულტო შენობის (ტაძრის) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს, გაცნობთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა დაგეგმილი პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი შედეგები.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა შესაბამის თანხმობის წერილებთან ერთად.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2020 წლის 24 თებერვლის N 01200554457-67 განცხადების პასუხად N 01200573899 წერილით.


შემოსწენებულის გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, რომ დაგეგმილი პროექტი არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიკური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



განკურთხევის რეგულაციის ბეჭედი	მიწის ნაკვეთის განაწილების ბეჭედი		საპროექტო ბინობრიობა	
	ფორმატიონის კოდი	ფორმატიონის ტერიტორია	საპროექტო სახლდარი	
A3	A.22	1500	საპროექტო სახლი	
		28/02/24	საპროექტო ტერიტორია	



საკრედიტო ტერიტორია ვითარდება გრძელ კონსტრუქციის
ნაკვეთის საფუძველზე. ტერიტორიაზე

საქართველოს არქიტექტურის ასოციაცია
მემბრანული საპროექტო განყოფილება

მრავალბინო საცხოვრებელი
კომპლექსი და საკვლევი
შენიშვნა (ფაბრიკის) ტერიტორია,
წილების კ. N23
ს/კ 01.17.11.034.007

დირექტორი: მ. რევაზიანი

პრ. ინჟინერი: მ. რევაზიანი

დაამუშავა: 0. პურულია


შ.პ.ს. "ანტი-დოზა06 კრედიტო"
თბილისი, უზნაძის N12
ტელ: 5 77 474 293

ბინის ნაკვეთის დეტალური რეკონსტრუქციის დოკუმენტაცია

განაშენიანების რეგულაციების გეგმა

მეტრები: 1:500 A-29 28/02/24

ბლოკი	ს/კ	ფართობი	კ1	კ2	კ3
A	ბლოკი	5338.0 მ ²	3171.4	1272.4	3190.3
B	ბლოკი	887.9 მ ²	667.9 მ ²		
C	ბლოკი	664.6 მ ²	5180.1 მ ²		
		287.3 მ ²	402.6 მ ²		
		5338.0 მ ²	9950.0 მ ²	4275.0 მ ²	1257.9 მ ²



AD
საპროექტო და ინჟინერული კომპანია

საპროექტო და ინჟინერული კომპანია

შპს "საპროექტო და ინჟინერული კომპანია" (საპროექტო და ინჟინერული კომპანია) №12
 ვლესკის ქ. №23
 მ/კ 01.17.11.034.007

გ. აბ. "საპროექტო და ინჟინერული კომპანია" №12
 თბილისი, ვლესკის ქ. №12
 ტელ: 5 77 474 293

დირექტორი

პრ. ავტორი

დაამუშავა

0. პურდუა

მ. რეკონსტრუქცია

მ. რეკონსტრუქცია

0. პურდუა

